ანტიკრიზისული მენეჯმენტი საქართველოს სტარტაპებში: კრიზისული მზადყოფნისა და საერთაშორისო პრაქტიკის შედარებითი ანალიზი

გვანცა სულაშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე

საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი მოწვეული ლექტორი: გიორგი კალატოზიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

გვანცა სულაშვილი

21.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება საქართველოს სტარტაპებში ანტიკრიზისული მენეჯმენტის პრაქტიკის შესწავლას, კრიზისული მზადყოფნის შეფასებასა და მიღებული შედეგების არსებულ საერთაშორისო გამოცდილებასთან შედარებით ანალიზს. კვლევის აქტუალობა განპირობებულია ბიზნესგარემოში კრიზისების გახშირებით, რაც ორგანიზაციებს ავალდებულებს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ რისკების მართვასა და ანტიკრიზისულ დაგეგმვას.

კვლევის მიზანია საქართველოს სტარტაპებში ანტიკრიზისული მენეჯმენტის არსებული პრაქტიკის შეფასება, კრიზისული მზადყოფნის ანალიზი და იმ ძირითადი გამოწვევების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენს ორგანიზაციების მდგრადობაზე.

კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიას. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ონლაინ კითხვარის საშუალებით გამოიკითხა საქართველოში მოქმედი სტარტაპების 18 წარმომადგენელი, ხოლო თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა სამი სიღრმისეული ინტერვიუ სტარტაპების დამფუძნებლებთან. მიღებული მონაცემები გაანალიზდა სამეცნიერო ლიტერატურისა და საერთაშორისო კვლევების შედეგების ფონზე.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა აცნობიერებს ანტიკრიზისული მენეჯმენტის მნიშვნელობას, თუმცა კომპანიების დიდ ნაწილს არ გააჩნია ფორმალიზებული ანტიკრიზისული გეგმა. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ კრიზისული მართვა ხშირ შემთხვევაში ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებასა და სიტუაციურ გადაწყვეტილებებს, ვიდრე წინასწარ შემუშავებულ სტრატეგიას. სიღრმისეულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლებობა და ფორმალიზებული პროცესების არარსებობა ქართული სტარტაპების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ამავდროულად, COVID 19-ის პანდემიამ მნიშვნელოვნად გაზარდა ორგანიზაციების ყურადღება რისკების მართვისა და კრიზისული მზადყოფნის მიმართ.

კვლევის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოს სტარტაპებში ანტიკრიზისული მენეჯმენტის პრაქტიკა ეტაპობრივად ვითარდება, თუმცა საერთაშორისო გამოცდილებასთან შედარებით კვლავ საჭიროებს სისტემურ გაუმჯობესებას. ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ქართული სტარტაპების კრიზისული მდგრადობისა და გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: ანტიკრიზისული მენეჯმენტი, სტარტაპი, კრიზისი, კრიზისული კომუნიკაცია, რისკების მართვა, ორგანიზაციული მდგრადობა.

Abstract

This master's thesis examines crisis management practices in Georgian startups, evaluates their level of crisis preparedness, and compares the existing findings with international experience. The relevance of the study is determined by the increasing frequency of economic, technological, and organizational crises, which require businesses to strengthen their crisis management capabilities and strategic resilience.

The main objective of the research is to assess the current state of crisis management in Georgian startups, evaluate their preparedness for potential crises, and identify the key challenges affecting organizational resilience.

The study employs a mixed-method research design. The quantitative part of the research was conducted through an online questionnaire completed by 18 representatives of Georgian startups, while the qualitative part consisted of three in-depth interviews with startup founders. The collected data were analyzed alongside relevant academic literature and international studies on crisis management.

The findings indicate that although most respondents recognize the importance of crisis management, many startups still lack formal crisis management plans. Crisis response is often based on managers' experience and ad hoc decision-making rather than structured strategic planning. The qualitative interviews further revealed that limited financial resources, insufficient strategic planning, and the absence of formalized crisis management procedures remain significant challenges for Georgian startups. At the same time, the COVID 19 pandemic substantially increased awareness of crisis preparedness and risk management among startup founders.

The study concludes that crisis management practices in Georgian startups are gradually developing; however, they still require significant improvement to align with international standards. Based on the research findings, practical recommendations are proposed to strengthen organizational resilience, improve crisis preparedness, and enhance the long-term sustainability of Georgian startups.

Keywords: crisis management, startup, crisis communication, risk management, organizational resilience, strategic planning.

მადლობა

სამაგისტრო პროექტის მომზადების პროცესში დახმარების გაწევისათვის მსურს დიდი მადლობა გადავუხადო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ლექტორ გიორგი კალატოზიშვილს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი თითოეულ რესპონდენტს კვლევაში შეტანილი წვლილისთვის, ასევე ყველა იმ პირს, ვინც სამაგისტრო პროექტზე მუშაობის პროცესში ღირებული რეკომენდაციებითა და პროფესიული მხარდაჭერით დამეხმარა